**საჯარო სამართლის იურიდიული პირის -**

**„აწარმოე საქართველოში“ დირექტორის**

# ბრძანება

KA020133140439221

**№ ს-8** **05 / თებერვალი / 2021 წ.**

## სახელმწიფო პროგრამის აწარმოე საქართველოში „მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის“ კომპონენტის ფარგლებში ბენეფიციარის მიერ ხარჯის დადასტურებისათვის წარმოსადგენი დოკუმენტების დამტკიცების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის № 365 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ $12^3$ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „ვ“ ქვეპუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აწარმოე საქართველოში დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 29 მაისის № 1-1/217 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აწარმოე საქართველოში დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

**ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს სახელმწიფო პროგრამის აწარმოე საქართველოში „მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის“ (შემდგომში პროგრამა) კომპონენტის ფარგლებში ბენეფიციარის მიერ ხარჯის დადასტურებისათვის წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა დანართი #1-ის შესაბამისად.

2. აღნიშნული ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წარმოუდგენლობის შემთხვევაში, სააგენტო უფლებამოსილია იმოქმედოს ბენეფიციართან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

3. აღნიშნული ბრძანებით გათვალისწინებულ ღონისძიებებზე კონტროლი დაევალოს სააგენტოს მეწარმეობის დეპარტამენტს.

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (მის: ქ. თბილისი, სანაპიროს ქუჩა №2).

*დანართი 1*

კონტრაქტორი ვალდებულია ჩათვალოს: „ა“ პუნქტით გაწერილი პროდუქციის/მომსახურების მიწოდების დამადასტურებელი დოკუმენტებიდან ერთ-ერთი, რომელიც დასტურდება „ბ“ პუნქტში ჩამოთვლილი თანხის გადახდის დამადასტურებელი ერთ-ერთი დოკუმენტით, რომ დადგინდეს ბენეფიციარის მხრიდან ხარჯის გაწევა. „ა“ და „ბ“ პუნქტებში გაწერილი დოკუმენტები წარმოდგენილ უნდა იყოს ერთად, რომელშიც აუცილებლად უნდა იკითხებოდეს ოპერაციის მონაწილე პირები (საიდენტიფიკაციო/პირადი ნომრებით); თანხის მოცულობა; პროდუქციის/მომსახურების დასახელება; შესრულების თარიღი.

***ა) პროდუქციის/მომსახურების მიწოდების დამადასტურებელი დოკუმენტებია:***

- სასაქონლო ზედნადები (RS.GE);
- საგადასახადო დოკუმენტი(RS.GE);
- ანგარიშ-ფაქტურა (RS.GE);
- ინვოისი;
- მიღება-ჩაბარების აქტი;

***ბ) თანხის გადახდის და ზემოაღნიშნული დოკუმენტებით გაწეული ხარჯის ანაზღაურების დამადასტურებელი დოკუმენტებია:***

- სალაროს ჩეკი (იმავე ოდენობაზე);
- ბანკის გადარიცხვის ქვითარი (იმავე ოდენობაზე);
- ჩგდ - ჩეკთან გათანაბრებული დოკუმენტი (იმავე ოდენობაზე);
- სალაროს შემოსავლის ორდერი (მხოლოდ ანგარიშ-ფაქტურის გამოწერის შემთხვევაში)

***შენიშვნა:*** იმ შემთხვევაში თუ ბენეფიციარი ვერ ახერხებს ზემოთ ხსენებული დოკუმენტაციის წარმოდგენას, ვალდებულია მომსახურების გამწევთან/პროდუქტის მომწოდებელთან გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულება, რომელსაც თან დაერთვება თავისი და მომსახურების გამწევის/პროდუქციის მომწოდებლის პირადობის მოწმობის ასლები, ხოლო მომსახურების/პროდუქტის მიღებისთანავე გააფორმოს შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი. გაწეულ ხარჯად ჩაითვლება მხოლოდ გაფორმებული, მხარეთა მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტით, რომელშიც უნდა ფიქსირდებოდეს ანაზღაურების ტიპი (ნაღდი ანგარიშსწორება); თანხის ოდენობა; მიღებული პროდუქციის/მომსახურების დასახელება და რაოდენობა; შესრულების თარიღი და ადგილი.

სსიპ-ის „აწარმოე საქართველოში“ დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

მიხეილ ხიდურელი